

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მომჩივანი: შპს ა

შემმოწმებელი: აუდიტის დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დავების განხილვის საბჭომ, დ. გაბლიშვილის (სხდომის თავმჯდომარე), მ. ადეიშვილის, მ. ბარათაშვილის, შ. გვენეტაძის, დ. რუხაძის, შ. კომლაძის, გ. თინიკაშვილის შემადგენლობით, 27.09.2019 წელს განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება შპს ა 17.09.2019 წელს რეგისტრირებულ საჩივარზე.

დავის საგანი:

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად სანქციისაგან გათავისუფლება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

1. აუდიტის დეპარტამენტის 27.06.2019 წლის №006-567 საგადასახადო მოთხოვნა;
2. აუდიტის დეპარტამენტის 26.06.2019 წლის №21239 ბრძანება;
3. შემოსავლების სამსახურის 17.09.2019 წლის №31909 ბრძანება;

დარიცხული თანხა: 257889.4 ლარი

მათ შორის:

- დღგ - 120054 ლარი.
- მიწის გადასახადი - 942 ლარი.
- მოგების გადასახადი - 2464 ლარი.
- საშემოსავლო გადასახადი - 10826 ლარი.
- ქონების გადასახადი - 5611 ლარი.
- ჯარიმა - 76299 ლარი.
- საურავი - 41693.4 ლარი.

ფაქტების აღწერა

მომჩივანს სადავო თანხები დაერიცხა აუდიტის დეპარტამენტის კამერალური საგადასახადო შემოწმების 25.06.2019 წლის აქტის საფუძველზე. შემოწმებამ მოიცვა 1.01.2016

წლიდან 1.07.2018 წლამდე პერიოდი. აღნიშნულის თაობაზე გამოიცა აუდიტის დეპარტამენტის 26.06.2019 წლის №21239 ბრძანება და 27.06.2019 წლის №006-567 საგადასახადო მოთხოვნა. აღნიშნული აქტები გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში, რომლის 17.09.2019 წლის №31909 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შემოსავლების სამსახურის არგუმენტაცია

სსკ-ის მე-136 მუხლის თანახმად გადასახადის გადამხდელი ვალდებულია სწორად და დროულად აღრიცხოს შემოსავლები და ხარჯები დოკუმენტურად დადასტურებულ მონაცემთა საფუძველზე, ამ თავით გათვალისწინებული მეთოდების გამოყენებით და მიაკუთვნოს იმ საანგარიშო პერიოდს, რომელშიც მოხდა მათი მიღება და გაწევა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად „საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ „დამოუკიდებლად განსაზღვრონ გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ვალდებულების მოცულობა საგადასახადო ორგანოში არსებული ინფორმაციით (მათ შორის, გადასახადის გადამხდელის დანახარჯების შესახებ) ან შედარების მეთოდით – სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, თუ გადასახადის გადამხდელი არ წარადგენს საგადასახადო კონტროლის განსახორციელებლად საჭირო სააღრიცხვო დოკუმენტაციას ან დადგენილი წესის დარღვევით აწარმოებს ბუღალტერიას, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;“

ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია პირს დაარიცხოს გადასახადი თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ პირი მას არ წარუდგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას.“

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „თუ გადასახადის გადამხდელი/საგადასახადო აგენტი, სხვა ვალდებული პირი არ წარმოადგენს გადასახადის დასარიცხად საჭირო ინფორმაციას, საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დაარიცხოს მას გადასახადი ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარუდგინოს „საგადასახადო მოთხოვნა“.

სსკ-ის 100-ე მუხლის თანახმად რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლების გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან.

ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული შემოსავალი, კერძოდ: ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები; ბ) ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან; გ) სხვა შემოსავლები, რომლებიც დაკავშირებული არ არის დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან.

ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება: ა) საქონლის/მომსახურების მიწოდებით მიღებული შემოსავლები;

სსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის მიღებასთან, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად გამოქვითვას არ ექვემდებარება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა ხარჯი დოკუმენტურად უნდა იყოს დადასტურებული.

სსკ-ის 72-ე მუხლის მიხედვით პირველადი საგადასახადო დოკუმენტი არის წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია სამეურნეო ოპერაციის მონაწილე მხარეთა იდენტიფიცირება, აქვს თარიღი და მოიცავს მიწოდებული საქონლის/გაწეული

მომსახურების ჩამონათვალსა და ღირებულებას. საქონლის/მომსახურების გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციაზე გამოწერილ პირველად საგადასახადო დოკუმენტში საქონლის ღირებულების (მათ შორის, საქონლის ერთეულის ფასის) მითითება სავალდებულო არ არის.

სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, რეზიდენტი საწარმოს (გარდა ამ მუხლის მე-2, მე-8 და მე-9 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა) მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის.

სსკ-ის 98² მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მიზნებისათვის ხარჯს, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის, მიეკუთვნება:

ა) ხარჯი, რომელიც დოკუმენტურად დადასტურებული არ არის, თუ ეს ვალდებულება დადგენილია ამ კოდექსის შესაბამისად;

ბ) ხარჯი, რომლის გაწევის მიზანი არ არის მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;

სსკ-ის 107-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი ან/და გადასახდელი (დარიცხვის მეთოდის გამოყენების მიხედვით) პროცენტები გამოიქვითება არა უმეტეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წლიური პროცენტის ფარგლებში, შესაბამისი პერიოდის პროპორციულად.

სსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ძირითადი საშუალებების მიმართ, გარდა საწარმოს კაპიტალში შეტანილისა, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს ამ აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

შემოსავლების სამსახური მიუთითებს სსკ-ის მე-100 მუხლზე, რომლის თანახმად რეზიდენტის ერთობლივი შემოსავალი შედგება საქართველოში არსებული წყაროდან და საქართველოს ფარგლების გარეთ მიღებული შემოსავლებისაგან.

ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, ერთობლივ შემოსავალს განეკუთვნება ნებისმიერი ფორმით ან/და საქმიანობით მიღებული შემოსავალი, კერძოდ: ა) ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები;

სსკ-ის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლებს განეკუთვნება ფიზიკური პირის მიერ დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან.

სსკ-ის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ: ა) პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს.

შემოსავლების სამსახური მიუთითებს სსკ-ის 160-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად დღგ-ით დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი ოპერაცია.

სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

ა) დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციაა საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა.

ბ) დღგ-ით შეძენილი საქონლის/მომსახურების გამოყენება არაეკონომიკური საქმიანობისათვის (გარდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ სახელმწიფოსათვის ან/და ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ან/და

მომსახურების უსასყიდლოდ გაწევის შემთხვევისა), თუ ამ საქონელზე/მომსახურებაზე გადამხდელმა მიიღო დღგ-ის ჩათვლა.

სსკ-ის 169-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაბეგრი ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების, საქონლის ექსპორტისა და საქონლის რეექსპორტის თანხის ჯამი.

სსკ-ის 170-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ბიუჯეტში შესატანი დღგ მოიცავს დასაბეგრი ბრუნვიდან ბიუჯეტში შესატან დღგ-ის თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა დასაბეგრი ბრუნვაზე დარიცხულ დღგ-ის თანხასა და ჩასათვლელ დღგ-ის თანხებს შორის.

სსკ-ის 171-ე მუხლის თანახმად: „დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი ვალდებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დღგ-ის დეკლარაცია ყოველ საანგარიშო პერიოდზე არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხადოს დღგ.“

სსკ-ის 173-ე მუხლის თანახმად დღგ-ის ჩათვლა არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის უფლება, შეიმციროს გადასახდელი დღგ-ის თანხა მიღებული ჩათვლის დოკუმენტების საფუძველზე.

სსკ-ის 174-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა არის ა) დღგ-ის თანხა, რომელიც გადახდილია ან გადასახდელია ჩათვლის დოკუმენტების მიხედვით საქონლის შემენისას, მომსახურების მიღებისას, საქონლის იმპორტისას ან/და საქონლის დროებითი შემოტანისას, მათ შორის, დღგ-ის რეგისტრაციის ძალაში შესვლის მომენტისათვის არსებულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ნაშთზე;

შემოსავლების სამსახური მიუთითებს სსკ-ის 201-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად ქონების გადასახადის გადამხდელია: ა) რეზიდენტი საწარმო/ორგანიზაცია – მის ბალანსზე ძირითად საშუალებად ან/და საინვესტიციო ქონებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მოწყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე;

სსკ-ის მე-8 მუხლის 31-ე ნაწილის შესაბამისად ძირითადი საშუალება არის მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია.

სსკ-ის 203-ე მუხლის თანახმად მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით :

ა) მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;

ბ) სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე , რომლითაც სარგებლობს ან რომელსაც ფლობს იგი;

გ) მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით:

1. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, თუ იგი გამოწვეულია საგადასახადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ პირის საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის მომენტის (პერიოდის) შეცვლით, იწვევს პირის დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის თანხის შემცირება, გარდა ამ მუხლის პირველი, 2¹ და 2² ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

2¹. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტს არ აღემატება, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

2². საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტზე მეტია და 20 პროცენტს არ აღემატება, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 25 პროცენტის ოდენობით.

3. საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში შესამცირებლად გამოანგარიშებული თანხის/დაბრუნებას დაქვემდებარებული თანხის გაზრდა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებად განიხილება და შესაბამის შემთხვევაში იწვევს ამ მუხლის პირველი–22 ნაწილებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

4. პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 100 000 ლარზე მეტით შემცირება მიიჩნევა გადასახადისგან თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საგადასახადო შემოწმების შედეგად ამ მუხლის შესაბამისად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახადებად დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას

სსკ-ის 43-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გადასახადის გადამხდელს ეკისრება ამ კოდექსით ან/და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

შემოსავლების სამსახური განმარტავს, რომ საქმეში არსებულ მასალებით და შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო ბაზების მონაცემებით დგინდება, რომ მომჩივანი არ ახორციელებდა გადასახადების დეკლარირებას. ასევე, შემოსავლების სამსახური ყურადღებას ამახვილებს ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელი არ უარყოფს საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახადების დარიცხვის საფუძვლებს.

შემოსავლების სამსახური მიუთითებს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილზე, რომლის თანახმად „საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით.

შემოსავლების სამსახური განმარტავს, რომ გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერება უკავშირდება მის მიერ დაშვებულ შეცდომას, გადამხდელი კეთილსინდისიერია იმ შემთხვევაში თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია მის მიერ დაშვებული შეცდომით (არცოდნით). კეთილსინდისიერება გულისხმობს პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. პირი მოქმედებს საპატიებელი შეცდომის პირობებში ანუ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ჩადიოდა აკრძალულ ქმედებას (სამართალდარღვევას). სსკ-ის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიზანია საგადასახადო პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლოს პირი, რომელიც სამართლებრივი შეცდომის არეალში მოქმედებდა, რადგან სამართლებრივი შეცდომის დროს პირი არასწორად

აფასებს ჩადენილი ქმედების სამართლებრივ არსს და ამ ქმედებით გამოწვეულ სამართლებრივ შედეგს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ შემოწმებით დამატებით საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრა შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამასთან, შემოსავლების სამსახური აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერება საქმეზე არსებული მასალების შესწავლის შედეგად არ დგინდება. ამდენად შემოსავლების სამსახურმა მიიჩნია, რომ გადამხდელის საჩივარი დაუსაბუთებელია და არ არსებობს მომჩივნის სანქციისაგან გათავისუფლების საფუძველი.

მომჩივნის არგუმენტაცია

საზოგადოება დაფუძნდა 2013 წლის 16 იანვარს. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს მსუბუქი ავტომობილების შეკეთება, რეკონსტრუქცია. 2016 წლამდე საწარმო ფუნქციონირებდა მცირე ზომის ავტოსახელოსნოში სადაც ძირითადად მუშაობდნენ ოჯახის წევრები და ორი სპეციალისტი. 2016 წელს დამყარდა კონტაქტები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ფიზიკურ პირებთან და შესაბამისად გაფართოვდა ბიზნესი. 2016- 2017 წლებში სს თიბისი ბანკიდან დაახლოებით 800000 ლარის კრედიტი მიიღო საზოგადოებამ. კრედიტის უზრუნველსაყოფად გირავნობა/იპოთეკით არის დატვირთული ოჯახის წევრების ქონებები. მიღებული სესხით 2017 წლის დასაწყისისთვის დასრულდა თანამედროვე ტიპის ავტოსახელოსნოს მშენებლობა, რომლის საერთო ფართი 1200 კვადრატულ მეტრს შეადგენს. კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ სადაზღვევო კომპანიები. სადაზღვევო კომპანიებზე გაწეული მომსახურების ღირებულება გაცილებით ნაკლებია ანალოგიური მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე, თუმცა კომპანიისთვის გარანტირებული კლიენტი და დაბალი მარჟა იმ პერიოდისათვის უალტერნატივო გამოსავალი იყო. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბაზარზე კონკურენციას უწევენ მცირე ზომის ავტოსახელოსნოები, რომელთა უდიდესი ნაწილი არ იხდის გადასახადს, ან სარგებლობს სხვადასხვა შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით. ამ და სხვა სირთულეებიდან გამომდინარე, მიუხედავად მცდელობისა ვერ მოხერხდა ავტოსახელოსნოს სრულად დატვირთვა, შესაბამისად, კომპანიას არ მიეცა შესაძლებლობა დაეძლია ფინანსური ვალდებულებები. ამჟამად, ავტოსახელოსნო გრძელვადიანი იჯარით არის გადაცემული, რაც იძლევა საშუალებას ვალების სრულად გასტუმრების. მომჩივანი ითხოვს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებას და საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო სანქციისაგან გათავისუფლებას.

დავების განხილვის საბჭო

მხარეთა არგუმენტაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „საგადასახადო ორგანოს/დავის განმხილველ ორგანოს ან სასამართლოს უფლება აქვს, გაათავისუფლოს კეთილსინდისიერი გადასახადის გადამხდელი ამ კოდექსით გათვალისწინებული სანქციისაგან, თუ სამართალდარღვევა გამოწვეულია გადასახადის გადამხდელის შეცდომით/არცოდნით.“

მომჩივანი ითხოვს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე ჯარიმისაგან განთავისუფლებას.

შემოწმების აქტის თანახმად, დარიცხვა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- მომჩივნის საქმიანობის საგანს წარმოადგენს ავტონაწილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. გადამხდელი საქმიანობას ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში. (მისამართი: ქ. თბილისი, სოფელ დიდოში, როსტეფანის ქუჩის პირველი შესახვევი, №7). მომჩივანი ძირითადად მომსახურებას უწევს სადაზღვევო კომპანიებს. პირს 2016 წელს დეკლარირებული აქვს მოგების გადასახადის ნულოვანი დეკლარაცია, თუმცა საბუღალტრო პროგრამითა და საბანკო ამონაწერების მიხედვით პირს უფიქსირდება მიღებული შემოსავლები. შემოწმებით დამუშავდა შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზები, საბუღალტრო პროგრამა, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე, გამოთხოვილი იყო ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიებისაგან მომჩივნის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ 01.01.2016-01.07.2018წწ პერიოდში. რის შედეგადაც, დადგინდა, სსკ-ის 100-ე, 102-ე მუხლების შესაბამისად, 2016 წელს მიღებული ერთობლივი შემოსავალი, რამაც შეადგინა 518 742 ლარი. სსკ-ის 145-ე, 105-ე, 107-ე და 112-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით საწარმოს განესაზღვრა გამოსაქვითი ხარჯების ოდენობა, მათ შორის დადგენილ იქნა ს.მ.ფ. ების საწყისი და საბოლოო ნაშთები. ასევე, სსკ-ის 105-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას დაექვემდებარა 2016 წელს გაწეული სხვა ხარჯები (იჯარა, ინტერნეტი, საბანკო მომსახურება, საბუღალტრო მომსახურება და ა.შ). ასევე, გათვალისწინებული იყო 2015 წლის ზარალის ოდენობა.

- მომჩივნის მიერ 2017, 2018 წლებში მოგების გადასახადის დეკლარაციები არ არის წარმოდგენილი. შემოწმებით დამუშავდა შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზები, საბუღალტრო პროგრამა, საწარმოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საბანკო ამონაწერები, რის შედეგადაც პირს უფიქსირდება დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი. სსკ-ის 97-ე და 98(2) მუხლების მიხედვით რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; პირველადი დოკუმენტების დამუშავების შედეგად 2017-2018 წლებში გამოვლინდა დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯი 13 965 ლარის ოდენობით. პირს დაერიცხა გადასახადი და ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად.

- პირს არასრულად აქვს დეკლარირებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვები. საბუღალტრო პროგრამითა და საბანკო ამონაწერების მიხედვით პირს უფიქსირდება მიღებული შემოსავლები. შემოწმებით დამუშავდა შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზები, საბუღალტრო პროგრამა, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ასევე, გამოთხოვილი იყო ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიებისაგან საწარმოს მიერ გაწეული მომსახურების შესახებ 01.01.2016-01.07.2018წწ პერიოდში. ზემოაღნიშნული მონაცემებითა და სსკ-ის 161-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში განესაზღვრა დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა 1 439 739 ლარი, ნაცვლად დეკლარირებული 389 469 ლარისა. პირს დაერიცხა გადასახადი და დაჯარიმდა სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით. ასევე, პირის მიერ დარღვეულია სსკ-ის 175-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების მოთხოვნები. კერძოდ, დღგ-ის დეკლარაციაში ანგარიშ-ფაქტურების რეესტრით არ არის ასახული 2016, 2017 და 2018 წლების ზოგიერთ თვეებში გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურები. აქედან გამომდინარე, მომჩივანი დაჯარიმდა სსკ-ის 291-ე მუხლით თვეების მიხედვით.

- მომჩივანს შესამოწმებელ პერიოდში დეკლარირებული აქვს ჩასათვლელი თანხები ჯამურად 40 487 ლარის ოდენობით. შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზების მიხედვით პირს უფიქსირდება მიღებული ა/ფაქტურები (ს.მ.ფ შესყიდვა), რომლებიც არ არის ჩათვლაზე წარდგენილი. გადასახადის გადამხდელმა წარმოადგინა ანგარიშ-

ფაქტურების რეესტრი და მოითხოვა შესამოწმებელ პერიოდში მიღებული ა/ფაქტურების ჩათვლებში გათვალისწინება. სსკ-ის 173-ე, 174-ე, 175-ე და 179-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, დღგ-ის ჩასათვლელი თანხა შეადგენს 109 578 ლარს, ნაცვლად დეკლარირებული 40 487 ლარისა.

- პირს არასრულად აქვს დეკლარირებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვები. საბუღალტრო პროგრამითა და საბანკო ამონაწერების მიხედვით პირს უფიქსირდება მიღებული შემოსავლები. პირის მიერ დარღვეულია სსკ-ის 175-ე მუხლისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების მოთხოვნები. კერძოდ, დღგ-ის დეკლარაციაში ანგარიშ-ფაქტურების რეესტრით არ არის ასახული 2016, 2017 და 2018 წლების ზოგიერთ თვეებში გამოწერილი ანგარიშ-ფაქტურები. აქედან გამომდინარე, მომჩივანი დაჯარიმდა სსკ-ის 291-ე მუხლით თვეების მიხედვით 1800 ლარის ოდენობით.

- შემოსავლების სამსახურის ელექტრონული ბაზის მიხედვით ფიქსირდება გადამხდელის მიერ საწვავის შეძენის ფაქტები 2018 წლის იანვარი-თებერვლის საანგარიშო პერიოდებში; საწვავის ხარჯვისა და ნაშთების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი შესაბამის პერიოდებში. წარმოდგენილია დაგვიანებით 2019 წლის თებერვლის თვის დეკლარაციაში. დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის 996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, რომლის მიხედვით ნავთობპროდუქტის ნსაფ-ით მიწოდების ან/და შეძენის შემთხვევაში, დღგ-ის გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოს, დღგ-ის დეკლარაციასთან ერთად, წარედგინება „ნავთობპროდუქტის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების რეესტრი და სასაქონლო ნაშთები. სსკ-ს 43-ე და 291-ე მუხლის მიხედვით კი პირის მიერ ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რისთვისაც ამავე კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა, მაგრამ არ არის განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა, – იწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

- საბანკო ამონაწერებისა და სალაროს მოძრაობის შესწავლის შედეგად პირს უფიქსირდება სახელფასო განაცემი, რაც დეკლარირებული არ არის. სსკ-ის 154-ე მუხლის მიხედვით გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, რომელიც დაქირავებულს უხდის ხელფასს. დამატებით ხელფასის სახით განაცემმა შესამოწმებელ პერიოდში შეადგინა 54 125 ლარი. შედეგად პირს დაერიცხა გადასახადი და ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის შესაბამისად. ასევე, პირს დაერიცხა ჯარიმა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით სსკ-ის 291-ე მუხლით განაცემთა ინფორმაციის არასრულყოფილად წარდგენისათვის თვეების მიხედვით 600 ლარის ოდენობით.

- მომჩივანს 2016-2017 წლებში წარმოდგენილი აქვს ქონების გადასახადის ნულოვანი დეკლარაციები. შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზების, საბუღალტრო პროგრამის, გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციით პირს უდგინდება დასაბეგრი ქონების ფლობა (შენობა-ნაგებობა და სხვა მ/საშუალებები). სსკ-ის 200-ე, 201-ე და 202-ე მუხლების თანახმად ქონების გადასახადით დაბეგრილი იყო მომჩივნის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები (შენობები, ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ავეჯი და სატრანსპორტო საშუალებები). პირს დაერიცხა გადასახადი და ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით.

- მომჩივანს 2017-2018 წლებში წარმოდგენილი აქვს მიწაზე ქონების გადასახადის ნულოვანი დეკლარაციები, თუმცა საჯარო რეესტრის მონაცემებით პირს უფიქსირდება სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფლობა. გადამხდელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საჯარო რეესტრიდან გამოთხოვილი ინფორმაციაზე

დაყრდნობით, ასევე სსკ-ის 200-ე, 201-ე, 203-ე და 204-ე მუხლების გათვალისწინებით მიწაზე ქონების გადასახადით დაბეგრულ იქნა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 1700კვ.მ თბილისში, სოფელ დილომში და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი სოფელ დილომში 200კვ.მ. პირს დაერიცხა გადასახადი და ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით.

მომჩივანში ითხოვს გათავისუფლდეს დარიცხული ჯარიმებისგან და ასევე წარმოადგენს საგადასახადო დავალიანების ძირითადი თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის დეპარტამენტის და გადასახადის გამამხდელის არგუმენტაციის მოსმენის, წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანის მიერ გადახდილია საგადასახადო დავალიანების ძირითადი თანხა, საბჭომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში მომჩივანი საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად უნდა გათავისუფლდეს აუდიტის დეპარტამენტის 27.06.2019 წლის №006-567 საგადასახადო მოთხოვნის საფუძველზე დარიცხული ჯარიმისაგან.

საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 305-ე მუხლით და გადაწყვიტა:

1. საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. ნაწილობრივ გაუქმდეს შემოსავლების სამსახურის 17.09.2019 წლის №31909 ბრძანება;
3. აუდიტის დეპარტამენტს დაევალოს დარიცხული სანქციის კორექტირება (შემცირება) ამ გადაწყვეტილების შესაბამისად;
4. დანარჩენ ნაწილში საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

დათო გაბლიშვილი
სხდომის თავმჯდომარე